

საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის მოკვლევის ანგარიში

შესავალი

ეს ნაწილი ასახავს მოკვლევის ძირითად ობიექტს და მიზანს, აგრეთვე იმის განცხადებას, რომ მოკვლევა არ არის მიმართული საზღვაო ინციდენტში/ შემთხვევაში ჩართული პირების დასასჯელად ან პასუხისმგებლობის განსასაზღვრად. მოკვლევის ანგარიში არ უნდა იყოს დაწერილი იმ ფორმით, რომ მისი გამოყენება მოხდეს სასამართლოში. (მოკვლევის ანგარიში არ უნდა უთითებდეს თვითმხილველებზე ან მათ მიერ წარმოდგენილ სამხილებზე.)

1. ზოგადი მიმოხილვა

ეს ნაწილი აღწერს საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის ძირითად ფაქტებს: სად, როდის, როგორ განხორციელდა იგი. აგრეთვე ამ ნაწილში მიეთითება დადუპულთა, დაზარალებულთა, გემის ნებისმიერი სახის დაზიანების, ტვირთის, მესამე მხარის ან გარემოსადმი მიყენებული ზიანის შესახებ.

2. ფაქტობრივი ინფორმაცია

ეს ნაწილი მოიცავს ცალკეულ ნაწილებს, რომლებიც მოიცავენ იმ ინფორმაციებს, რომელთაც კომისია ჩათვლის აუცილებლად, რომ მიეთითოს ანგარიშში, რათა მოხერხდეს გარემოებათა სრული და ყოვლისმომცველი ანალიზი.

2.1. გემის დეტალები

დროშის სახელმწიფო/შესაბამისი სახელმწიფოს გემების რეესტრი,
საიდენტიფიკაციო მონაცემები,
ძირითადი მახასიათებლები,
გემთმფლობელი და მმართველი კომპანია,
გემის სამშენებლო მასალები,
ეკიპაჟის მინიმალური შემადგენლობა,
ნებადართული ტვირთი.

2.2. მარშრუტის დეტალები

შესვლის ნავსადგურები,
ნაოსნობის ხასიათი,
ინფორმაცია ტვირთის შესახებ,
ეკიპაჟი.

2.3. ინფორმაცია საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის შესახებ

საზღვაო ინციდენტის/ შემთხვევის ტიპი,
შემთხვევის ზუსტი დრო (კალენდარული რიცხვი და საათი),
საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის პოზიცია და ადგილმდებარეობა,
გარე და შიდა გარემო,
გემის ექსპლუატაცია და შემთხვევის ადგილი,
გემის კორპუსის რა ნაწილი დაზიანდა,
ადამიანური ფაქტორების მონაცემები,
შედეგები (პირებისათვის, გემისთვის, ტვირთისთვის, გარემოსათვის და სხვ.)

2.4. სანაპირო სახელმწიფოს შესაბამისი ჩართვა და საგანგებო ქმედებები

პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ, საშუალებები, რომლებიც გამოყენებულ იქნა, ქმედებათა განხორციელების დროულობის შეფასება, განხორციელებული ქმედებები მიღწეული შედეგები.

3. ძირითადი შინაარსი

ამ ნაწილში ასახულია საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის ზოგადი სურათი, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, თითოეული პირის/მასალის ჩართულობა შემთხვევაში (პირები, მასალები, გარემო, აღჭურვილობა ან გარე ფაქტორები). ძირითადი შინაარსი დამოკიდებულია საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის იმ დეტალებზე/მახასიათებლებზე, რომლებმაც გამოიწვიეს იგი. ამ ნაწილში უნდა აისახოს აგრეთვე მოკვლევის პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერ დეტალი, მათ შორის ჩატარებული ცდების თუ ტესტების შედეგები.

4. ანალიზი

ეს ნაწილი მოიცავს შემთხვევის ცალკეულ დეტალებს, რომლებიც აღწერს თითოეულ განხორციელებულ მოვლენას ცალკეულად. აგრეთვე, კომენტარებს თითოეული განხორციელებული ცდის თუ ტესტის შედეგების შესახებ, რომელიც ჩატარდა მოკვლევის მსვლელობისას. ამ ნაწილში მიეთითება თითოეული იმ ღონისძიების შესახებ, რომლებიც გატარდა გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

ამ ნაწილში უნდა მიეთითოს ისეთი დეტალები, როგორებიცაა:

- ინციდენტის შინაარსი და გარემო,
- პირთა მიერ განხორციელებული მცდარი ქმედებები და დაუდევრობა, მომწამვლელი მასალების გამოყენების გარემოებანი, გარემოზე ზემოქმედების ასპექტები, მოწყობილობათა გაუმართაობა და გარე ფაქტორები.
- პირთა ფუნქციებთან დაკავშირებული გარემოებები, საგემბანო სამუშაოები, სანაპირო სახელმწიფოს ქმედებები და მარეგულირებელი გავლენა.

ანალიზი და კომენტარი უნდა უზრუნველყოფდეს ლოგიკური დასკვნების გაკეთებას, კონკრეტულად უნდა აყალიბებდეს საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის გამომწვევ გარემოებებს, აგრეთვე იმ რისკებს, რომლებიც გაწეულია საზღვაო ინციდენტის/უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. აგრეთვე იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო შემთხვევის გარემოებათა აღმოსაფხვრელად ან გარე ფაქტორების ზემოქმედების შესამცირებლად, თუმცა შედეგების მიხედვით აღმოჩნდა არაადეკვატური ან საერთოდ არ განხორციელებულა.

5. დასკვნა

ეს ნაწილი ასახავს საზღვაო ინციდენტის/შემთხვევის მაპროვოცირებელ გარემოებებს, აგრეთვე უმოქმედობას ან არაადეკვატურ ქმედებებს (მასალები, ფუნქციონალური, სიმბოლური ან პროცედურული), რომლებიც უნდა განხორციელებულიყო რათა შესაძლებელი ყოფილიყო დამდგარი შედეგის თავიდან აცილება.

6. რეკომენდაციები უსაფრთხოების შესახებ

როდესაც მიზანშეწონილია ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების რეკომენდაციებს, რომლებიც გამომდინარეობს სიტუაციური ანალიზიდან და დასკვნებიდან, აგრეთვე ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა სამართლებრივი ფაქტები, განზრახვა, პროცედურები, ინსპექტირება, მართვა, ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო სამუშაო პირობები, მომზადება, გემის შეკეთების სამუშაოები, ფუნქციონალურობა, სანაპირო სახელმწიფოს დახმარება და საავარიო დახმარება.

უსაფრთხოების რეკომენდაციების მიემართება ისეთ პირებს, როგორებიცაა: გემთმფლობელი, გემის ოპერატორი, აღიარებული ორგანიზაცია, საზღვაო ადმინისტრაციები, გემების მოძრაობის მონიტორინგის სამსახურები, სასწრაფო დახმარების დაწესებულებები, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია და ევროპული ინსტიტუტები, იმ მიზნით, რომ მომავალში მოხდეს ასეთი შემთხვევ(ებ)ის თავიდან აცილება.

ამ ნაწილიშივე მიეთითება ნებისმიერი დროებითი ღონისძიება, რომელიც განიხილება მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში.

7. დანართები

როდესაც შესაძლებელია, შემდეგი ინფორმაცია თან უნდა დაერთოს ანგარიშს ბეჭდური და/ან ელექტრონული ფორმით,

- გემის ფოტოები, აუდიო ჩანაწერები, რუკები, ჩანახატები,
- სტანდარტები,
- ტექნიკური ტერმინების განმარტება და შემოკლებანი,
- უსაფრთხოების შესწავლის შედეგები,
- სხვა ინფორმაცია.